დასახელება:	შრომის უსაფრთხოების მენეჯერის ასისტენტი/სტაჟიორი
მომწოდებელი:	ენსისი
გამოქვეყნდა: 11 მაისი / ბოლო ვადა: 10 ივნისი	

სამშენებლო კომპანია "ენსისი" აცხადებს ვაკანსიას შრომის უსაფრთხოების მენეჯერის ასისტენტის/სტაჟიორის თანამდებობაზე.

კომპანია გაძლევთ შესაძლებლობას შრომის უსაფრთხოების სფეროთი დაინტერესებულ პირებს გამოცდილების არარსებობის შემთხვევაში, მოგცეთ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ქვემოთ ჩამოთვლილი მოვალეობების შესასრულებლად.

მდებარეობა: თბილისი
სამუშაო განაკვეთი: სრული
ანაზღაურება: დამოკიდებულია კანდიდატის კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე
სტაჟირება ანაზღაურებადია.

ძირითადი მოვალეობები:

** კომპანიის ტერიტორიაზე/ობიექტებზე, შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის გატარება/მართვაში მონაწილეობის მიღება შრომის უსაფრთხოების მენეჯერთან ერთად;
** კომპანიაში საფრთხეების და რისკების იდენტიფიცირება, შესაბამისი პრევენციული ზომების შემუშავება (ამასთან საგანგებო სიტუაციების მართვა) და აღნიშნული სისტემის კონტროლი;
** შრომის უსაფრთხოების გეგმისა და პროცედურების შემუშავება; საევაკუაციო გეგმის შემუშავება; საჭირო პერსონალური დამცავი აღჭურვილობის განსაზღვრა; გამაფრთხილებელი ნიშნების განსაზღვრა; მუშა-მოსამსახურეების სპეც. ტანსაცმლით და სხვა აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით დროულ მომარაგებაზე კონტროლი;
და ა.შ)
** შესავალი ინსტრუქტაჟის დროული ჩატარება, ასევე სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟების და სწავლების ჩატარება;
** შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული ინციდენტების აღრიცხვა; ინციდენტების გამოძიების პროცესში ხელშეწყობა;
** ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ობიექტებზე სამუშაოების წარმოების შეწყვეტა, თუ საფრთხე ემუქრება ადამიანის ჯანმრთელობას;
** გეგმიური და არაგეგმიური ინსპექტირებების ორგანიზება და განხორციელება;

** "შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონითა და მასთან დაკავშირებული სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

** უმაღლესი განათლება;
** შრომის უსაფრთხოების აკრედიტირებული პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ქონა ჩაითვლება უპირატესობად (სავალდებულო არ არის);
** კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
** ინგლისური ენის ცოდნა.

უნარ-ჩვევები:

** სტრესის ზემოქმედების ქვეშ ეფექტურად მუშაობის უნარი;
** დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;
** შრომისმოყვარე, დისციპლინირებული;
** ორგანიზებულობა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
** სიზუსტესა და დეტალებზე ორიენტაციის უნარი;
** გუნდური მუშაობა და კომუნიკაბელურობა.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, დაინტერესებულმა კანდიდატებმა, გთხოვთ, გამოაგზავნოთ რეზიუმე (CV) შემდეგ ელ.ფოსტის მისამართზე: hr@ensisi.ge; გთხოვთ, ელექტრონული წერილის სათაურის (Subject) ველში მიუთითოთ პოზიციის დასახელება, რომელზედაც აგზავნით თქვენს რეზიუმეს, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი რეზიუმე არ განიხილება.

რეზიუმეების განხილვის შედეგად, დაკავშირება მოხდება, მხოლოდ შემდეგ ეტაპზე გადასულ კანდიდატებთან. დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 555199339